ქ. მარქსის სახ. ხ.ს.
სსრ. სახელმწიფო.
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
ოთხშაბათი
9 მაისი
№ 108 (17453)
ფასი 2 კაპ.

დაე იყოს მშვიდობა, [illegible] ძალზე სჭირდება საბჭოთა ადამიანებს და, საერთოდ, ქვეყნად ყველა პატიოსან ადამიანს.

**ლ. ი. ბრეჟნევი.**
(„მცირე მიწა").



# გამარჯვება

საბჭოთა ადამიანების მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება ის საზეიმო და უაღრესად სასიხარულო დღე, როცა მშვიდობის მაუწყებელმა ქვემეხის ზალპებმა ათასფრად გააცისკროვნეს სამშობლოს ზეცა და ქვეყანას ამცნეს დიდ სამამულო ომში გამარჯვება.

გაზაფხულის ეს ღირსსახსოვარი დღე — 9 მაისი ყოველთვის მოგვაგონებს უდიდესი განსაცდელის წუთებს, დაუვიწყარ, მახლობელ სახეებს, ადამიანებს რომელთა სიცოცხლეც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა.

ჟამთა სვლა, დროთა რბოლა ვერასოდეს დაჩრდილავს სამამულო ომის მძიმე გზებზე საბჭოთა ჯარისკაცების გმირობასა და მამაცობას, მუშების, კოლმეურნეების, ინტელექტუალური შრომის ადამიანების თავდადებას ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

ოცდათოთხმეტი წელი გვაშორებს გამარჯვების დიად დღეს — 9 მაისს, მაგრამ თითოეული საბჭოთა ადამიანი ამ დღეს ახლა სულ სხვა განწყობილებით, ხალისით, სიამაყის გრძნობით, ზოგჯერ ცრემლითაც და გულის მღელვარებით ეგებება, რადგან ბევრისათვის წარსული ბრძოლების მკაცრი და გმირული დრო საკუთარი, აგრეთვე ნათესავებისა და ახლობლების ცხოვრების ნაწილია. და ეს გრძნობა — მწუხარებისა და დიდი სიხარულის გრძნობა ერთნაირად უცხლობს რუსისა და უკრაინელის, ბელორუსისა და ქართველის, ყაზახისა და ყირგიზის, მოლდაველისა და სომეხის, დიადი ბრძოლების ყველა მონაწილის გულში.

გამარჯვების დღე ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის დღესასწაულია.

დიახ, ჩვენი სამშობლოს მრავალეროვანი ხალხის შვილებს უდიდესი განსაცდელის გავლით ბერლინისაკენ მიჰქონდათ ბრძოლების ქარ-ცეცხლში გამოვლილი და შერუჯული ძლევამოსილი ლენინური დროშა, რომლისადმი რწმენა, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი ერთგულება ამრავლებდა ძალებს, ენერგიას, ოქტომბრის მონაპოვრისადმი სიყვარულს, რაც გამოხატულებას პოულობდა სამხედრო მამაცობით ფრონტის წინა ხაზზე.

ომის მრისხანე წლებში საბჭოთა ადამიანი, ფრონტზე იყო თუ ზურგში, უმძაფრესად გრძნობდა, თუ რაოდენ ძვირფასი და საყვარელია სოციალისტური სამშობლო, ოქტომბრის მონაპოვარი, ხალხის მასების ხელმძღვანელი, წარმმართველი და ორგანიზატორი კომუნისტური პარტია. სამშობლოს დაცვის უძვირფასესი იდეა ასაზრდოებდა და ბრძოლისათვის აღანთებდა მოსკოვისა და ლენინგრადის, სტალინგრადისა და კიევის, ნოვოროსიისკისა და ბრესტის, ოდესისა და სევასტოპოლის, ჩვენი ქვეყნის ყოველი მტკაველი მიწის დამცველთა გმირობას.

ოცდათოთხმეტი წელი გავიდა ომის დამთავრებიდან. იმათ, ვინც ბრძოლითა და სისხლით მოიპოვა გამარჯვება — ყოფილმა ფრონტელებმა, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად, მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინეს მშვიდობის სადიდებლად, პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესასხმელად. მათ სამშობლოს მიწა-წყალი ნანგრევებისა და ფერფლისაგან აღადგინეს და უმაგალითოდ ააღორძინეს მამული სახახელო და თავდადებული შრომით.

ფაშიზმზე გამარჯვების წლისთავზე შეგვიძლია ვუთხრათ შინმოუსვლელ გმირებს, ვინც თავის კერას ვერ დაუბრუნდა, რომ მათი სისხლი ამაოდ არ დაღვრილა — დიდი საქმე, რომლისთვისაც მათ სიცოცხლე გაწირეს, დღეგრძელობს და იმარჯვებს.

სამშობლოს სიყვარული, სოციალისტური პატრიოტიზმის ძალა დაუშრეტელია. იგი მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური მიღწევებით, მასობრივი შეუპოვარი გმირობით. კომუნისტური აღმშენებლობის მჩქეფარე დღეების ჰეროიკა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების მაგალითითაც იგრძნობა. უკანასკნელ წლებში ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებული წარმატებები, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული უზარმაზარი მუშაობა ნათლად ჩანს ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა უბანზე და, რაც მთავარია, ადამიანების შრომითი კოლექტივების შემოქმედებით მოღვაწეობაში.

დღეს, როცა ვზეიმობთ ფაშიზმზე გამარჯვების ოცდათოთხმეტი წლისთავს, თვალს ვავლებთ განვლილ გზასა და ხალხის გმირობის ისტორიას, მის შესანიშნავ თავფურცლად წარმოგვიდგება ომის თემაზე გამოსული მემუარული ლიტერატურის მშვენება — ლ. ი. ბრეჟნევის „მცირე მიწა", რომელშიც დიდი განზოგადებული ძალით აისახა ჩვენი ადამიანის, საბჭოთა ჯარისკაცის გმირობის, თავდადების, სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმისა და კაცთმოყვარეობის ნამდვილი ეპოპეა.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გამარჯვების საკურთხეველზე თავისი წვლილი მიიტანეს საქართველოს შვილებმაც, რომელთა შესახებ შესანიშნავად არის ლაპარაკი „მცირე მიწის" ფურცლებზეც. სამშობლოს დამცველთა რიგებში შვიდასი ათასამდე მებრძოლი გაგზავნა საქართველომ. ჩვენი რესპუბლიკიდან 187 მეომარს სამშობლოს დიდი ჯილდო — საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა, ხოლო რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა რომ აღმართეს, ერთი იმ გმირთაგანი ქართველი მელიტონ ქანთარია იყო.

სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც გამარჯვების დღესასწაული 9 მაისი პირველად ვიზეიმეთ. მას შემდეგ საბჭოთა ხალხი, მისი შეიარაღებული ძალები ამ თარიღს აღნიშნავენ სიხარულით აღვსილნი იმის გამო, რაც გაკეთდა ჩვენში მშვიდობიან წლებში და იმ გმირებზე მწუხარებით გამსჭვალულნი, ვინც ბრძოლებში გმირულად დაეცა.

ფრონტის უმძიმეს გზაზე დაღუპულთა გმირობა უკვდავყოფილია პარტიისა და მთავრობის მრავალი ღონისძიებით, ომის ინვალიდებზე, ვეტერანებზე და ომში დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვით, დიდებული მონუმენტებით და მოკრძალებული საფლავებით, იმ ქალაქებისა და სოფლების, ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებებით, რომლებსაც გმირთა სახელები მიეკუთვნა.

ფრონტის მებრძოლთა და ზურგის მშრომელთა გმირობა ხორცშესხმულია წიგნებში, მოგონებებში, მათი უსაზღვრო თავდადებისა და მამაცობის მაგალითებზე იზრდებიან ახალი და ახალი თაობები. ისინი პაპებისა და მამების მაგალითებზე სწავლობენ სამშობლოს სიყვარულს, მშვიდობისათვის ბრძოლას და ზრუნვას.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# ზრუნვა დიდი სამამულო ომის მონაწილეებისათვის

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ".**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიღებულ დადგენილებაში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაავალეს შეიმუშაონ და განახორციელონ მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, მუდმივი ყურადღება გამოიჩინონ მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს მიეცათ შემდეგი დამატებითი შეღავათები:

ა) იმის უპირატესი უფლება, რომ:

— მიიღონ ბინა და გაიუმჯობესონ საბინაო პირობები;

— შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში;

— შეიძინონ ბაღის სახლები ან მასალები მათი მშენებლობისათვის;

— შეასრულებინონ სახლების, ბინების (ოთახების) რემონტის შეკვეთები;

— შეიძინონ გადიდებული მოთხოვნის სამრეწველო საქონელი, მათ შორის მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები და მოტორიანი ნავები, აგრეთვე შევიდნენ მშენებლობის კოოპერატივებში;

— ექსპლოატაცია გაუწიონ კოლექტიურ გარაჟ-სადგომებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებისათვის და ისარგებლონ მათი ტექნიკური მომსახურებით;

— შეიძინონ სათბობი;

— კულტურის დაწესებულებებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებსა და აფთიაქებში მომსახურების, აგრეთვე სტაციონარებში რიგგარეშე ჰოსპიტალიზაციის, სანატორიუმების, პროფილაქტორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების უზრუნველყოფის;

— ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ტრანსპორტზე, საყოფაცხოვრებო სხვადასხვა სამსახურში მომსახურების;

— საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტებში, ფოსტამტებსა და კავშირგაბმულობის სხვა დაწესებულებებში მომსახურების უპირატესი უფლებით;

ბ) უფლება, რომ უფასოდ იმგზავრონ ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა), აგრეთვე სოფლად საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში.

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება მიეცა მოაწყოს დიდი სამამულო ომის ყველა მონაწილის სამედიცინო გამოკვლევა და გამოვლენილ ავადმყოფებს დაუწესოს შემდგომი სადისპანსერო მეთვალყურეობა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაევალა განსაზღვროს დიდი სამამულო ომის მონაწილეებისათვის გადიდებული მოთხოვნის სამრეწველო სა-

(დასასრული მე-2 გვ.).

# ჯილდოების გადაცემა კრემლში

**8 მაისს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში სამშობლოს საპატიო ჯილდოები გადასცა თვალსაჩინო მხედართმთავრებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს.

ჯილდოების გადაცემის დროს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

მე უნდა შევასრულო სასიამოვნო მოვალეობა — სამშობლოს საპატიო ჯილდოები და წარჩინების მხედრული ნიშნები გადავცე ჩვენი შეიარაღებული ძალების თვალსაჩინო მხედართმთავრებს, პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაკთა ჯგუფს.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის და მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა არმიის გენერალი ანატოლი ივანეს ძე გრიბკოვი. იგი, როგორც ცნობილია, დიდ მუშაობას ეწევა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის პოსტზე.

ლენინის ორდენით აღინიშნა აგრეთვე კიდევ სამი თვალსაჩინო მხედართმთავრის — არმიის გენერლის ალექსანდრე მიხეილის ძე მაიოროვისა და გენერალ-პოლკოვნიკების ვლადიმერ მიხეილის ძე ვიშენკოვის და ალექსი დიმიტრის ძე მელეხინის დამსახურება. ისინი დაჯილდოვდნენ ჯარების საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფისა და რთული საბრძოლო ტექნიკის ათვისებისათვის.

მიიღეთ, ამხანაგებო, ჩემი გულწრფელი მოლოცვა. ღირსეულად ატარეთ დიდი ლენინის გამოსახულებიანი ორდენი. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში დიდი ნაყოფიერი მუშაობისათვის და მე-60 წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი გიორგი ემანუილის ძე ცუკანოვი. ამხანაგ ცუკანოვს კარგად ვიცნობ სხვადასხვა უბანზე ორმოც წელზე მეტი ხნის ერთობლივი მუშაობით. ვიცნობ როგორც პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგულ, ენერგიულ და უნარიან მუშაკს. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა დღეს ეს ჯილდო გადმოგცეთ თქვენ, გიორგი ემანუილის ძევ. მიიღეთ ჩემი მოლოცვა და ყველაზე გულითადი სურვილები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორენბურგის გაზის კომპლექსის მესამე რიგის მშენებლობისა და საპროექტო სიმძლავრის ათვისების დროს მიღწეული წარმატებებისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე იური ლეონიდის ძე ბრეჟნევი. გთხოვთ მიიღოთ ჯილდო და სულითა და გულით გილოცავთ.

დასასრულ, ამხანაგებო, დიდი კმაყოფილებით გადავცემ სიგელებსა და ჯარების გვარეობათა მარშლის ვარსკვლავებს ახალ არმიის გენერლებს — სერგი თევდორეს ძე ახრომეევს, მიხეილ მიხეილის ძე კოზლოვსა და გიორგი კარპეს ძე ცინევს. ეს მაღალი მხედრული წოდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭათ ამხანაგებს, რომელთა აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ხელმძღვანელ პოსტებზე, ჩვენი უმაღლესი მეთაურთა კადრების მომზადებასა და სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფაში კარგად არის ცნობილი. გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ დიდ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ საქმეებში.

* * *

დაჯილდოებულებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მათი საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის. მათ განაცხადეს, რომ კვლავაც მთელ ძალღონესა და გამოცდილებას მოახმარენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს.

ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გეორგაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

## ჩვენი სოფლის მოწინავენი



შარშანდელი მუყაითი შრომისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოვდა გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ხეტეშვილი. მოწინავე მევენახე წელს უფრო მეტი წარმატებისათვის იბრძვის.



ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლების კოლმეურნეობის მეჩაიემ ე. დოლიძემ, რომელიც გასული წლის მაჩვენებლებით დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, გადაწყვიტა შარშანდელთან შედარებით წელს მიიღოს ათასი კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი.

# გულითადი მოლოცვა

**ამხანაგებმა** ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა გულითადი მისალმება გაუგზავნეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას, ჩეხოსლოვაკიის ხალხს ეროვნული დღესასწაულის — ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 34-ე წლისთავის გამო.

ჰიტლერულ ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 34-ე წლის თავის გამო ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ა. ნ. კოსიგინს საპასუხო დეპეშა გამოუგზავნეს ამხანაგებმა გ. ჰუსაკმა და ლ. შტროუგალმა.

**„სალუტ-6"—„სოიუზ-32":**

# მუშაობა პროგრამით

**ფრენის მართვის ცენტრი** 8 მაისი. (საკდესი). ვლადიმერ ლიახოვისა და ვალერი რიუმინის სამუშაო დღე „სალუტ-6"-„სოიუზ-32" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსში დღეს ჩვეულებრივ დილის 8 საათზე დაიწყო და გასტანა 23 საათამდე მოსკოვის დროით.

კომპლექსის ცალკეული საბორტო სისტემების კონტროლისა და საუზმის შემდეგ კოსმონავტები დასახული პროგრამით მუშაობენ.

# კიდევ უფრო ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე

## თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

**სკკპ** ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების, გამომცემლობების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საინფორმაციო სააგენტოების, სხვა იდეოლოგიური დაწესებულებების ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირზე განიხილეს „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებანი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა. მან აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში პარტიის იდეოლოგიური საქმიანობისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების საფუძველზე შეჯამებულია უკანასკნელ წლებში პარტიის მიერ გაწეული იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შედეგები, დასახულია აღმზრდელობითი მუშაობაში ნაკლოვანებათა დაძლევის, მისი ყოველნაირი სრულყოფის გზები. გამოთქმულია რწმენა, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, იდეოლოგიური დაწესებულება, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობას ეგებებიან, აამაღლებენ მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ხარისხობრივ დონეს, რომლის მიზანია 1979 წლის გეგმებისა და ვალდებულებების, მთლიანად ხუთწლედის დავალებების უთუო შესრულების უზრუნველყოფა, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლა.

თათბირზე გამოვიდნენ გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი ვ. გ. აფანასიევი, გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი პ. ფ. ალექსეევი, სსრ კავშირის სახტელერადიოს თავმჯდომარე ს. გ. ლაპინი, ახალი ამბების სააგენტოს თავმჯდომარე ლ. ნ. ტოლკუნოვი, სსრ კავშირის გამსახკომის თავმჯდომარე ბ. ი. სტუკალინი, საკდესის გენერალური დირექტორის მოადგილე ა. ა. ბარანოვი, რომლებმაც მთლიანად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, ილაპარაკეს მასში დასახული ამოცანების განხორციელების გეგმებზე.

თათბირში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. ვ. ზიმიანინი და ი. ვ. კაპიტონოვი.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1979 წლის 8 მაისს 59 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პერინატალური მედიცინის, მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი**

**კონსტანტინე ვლადიმერის ძე ჩაჩავა**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

**შეიქმნა** სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პერინატალური მედიცინის, მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კ. ვ. ჩაჩავას დამკრძალავი მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები გ. გ. ლეჟავა, (თავმჯდომარე), ვ. გ. გოკიელი, ა. ნ. ზირაქაძე, მ. ე. კომახიძე, ბ. რ. ნანეიშვილი, ვ. მ. ოკუჯავა, ნ. ა. ქვანია, თ. დ. ჭყონია, ს. ნ. ხეჩინაშვილი.

კ. ვ. ჩაჩავას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

# 9 მაისი

საბჭოთა
ხალხის
დიადი
გამარჯვების
დღეა
გილოცავთ
დღესასწაულს,
ძვირფასო
თანამემამულენო!




გ. ლომიძის პლაკატი.

# წლისთავს ეძღვნება

**7 მაისს** გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 34-ე წლისთავსა და სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მეცხრე წლისთავს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ დ. ნ. ხარიტონოვმა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარის მოადგილემ დ. ჰანესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 34 წლის წინათ დაიწყო ახალი თავი ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში, დადგა პერიოდი, როცა სსრ კავშირთან ღრმა, გულწრფელი მეგობრობის, კავშირისა და თანამშრომლობის მეოხებით პირველად იქნა უზრუნველყოფილი ქვეყნის ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ჩვენი სოფლის მოწინავეები



# დაფასება ძალას გვმატებს!

### ამბობენ საქართველოს სოფლის მშრომელები და ქვეყანას აღუთქვამენ, რომ კვლავაც მუყაითად გაირჯებიან ხუთწლედის ვადამდე და გადამეტებით შესასრულებლად

არცთუ ისე დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც საქართველო ზედიზედ მეექვსედ დაჯილდოვდა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის. ამ დიდ საამაყო საქმეს ამ დღეებში მეორე სასიხარულო ამბავიც დაერთო — ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფი 1978 წელს მარცვლეულის, ჩაის, ყურძნისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში მიღწეული დიდი წარმატებებისა და შრომითი მამაცობისათვის დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ორასამდე კაცმა დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის საპატიო ჯილდოები იმ დიდი და ნაყოფიერი შრომისათვის, რომელიც მათ მეათე ხუთწლედის მესამე წელს გასწიეს.

ყველას ჩამოთვლა აქ ძნელია. ამბავი პრესამ ქვეყანას აუწყა. სამშობლოს საპატიო ჯილდოებით აღფრთოვანებულმა სოფლის მშრომელებმა, რომლებიც გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ და ეცნობიან საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, „კომუნისტის“ კორესპონდენტებთან საუბარში თქვეს:

**ავთანდილ კაჭარავა,**

აბაშის რაიონის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის ...

... ჰექტარზე 45 ცენტნერი სიმინდი მივიღე.

წელს კომპლექსური მექანი- ...

[illegible]

**გოდერძი ლატარია**

[illegible]

**დავით ჯანიაშვილი**

[illegible]

**ნათელა შოთაძე**

[illegible]

**სურათზე:** [illegible]

# ზრუნვა დიდი სამამულო ომის მონაწილეებისათვის

(დასასრული)

ქონლის, მათ შორის მსუბუქი ავტომობილების, მოტოციკლების, მოტორიანი ნავებისა და ავეჯის მიყიდვის წესი აღნიშნული საქონლის გაყიდვის იმ წესების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის; დიდი ...

... ტრანსპორტით, ხოლო რაიონებში, სადაც სარკინიგზო მიმოსვლა არ არის, წყლის, საჰაერო ან საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით;

— სამამულო ომის ინვალიდებისათვის გათვალისწინებული წესით მიიღონ უპროცენტო სესხი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის;

... ცენტრალური გათბობის არმქონე სახლებში მცხოვრებ I და II ჯგუფების ინვალიდებს შეუძლიათ 50 პროცენტის ფასდაკლებით შეიძინონ სათბობი მოსახლეობისათვის მისაყიდად დადგენილი ნორმების ფარგლებში;

III ჯგუფის ინვალიდებს — უფასო კბილის პროთეზირების ...

[illegible]

(საქინფორმი).

# სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

1979 წლის 9 მაისი № 115 ქ. მოსკოვი

[illegible]

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. უსტინოვი.

### პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მონაწილეობა საზეიმო ...

[illegible]

# საერთაშორისო ცხოვრება

# დედამიწის ფურცლები

## სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა საარსებოდ აუცილებელია

ვაშინგტონი, 7 მაისი. (საქდეპსი). სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების დადების პერსპექტივების საკითხი შეერთებული შტატების პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრში დგას.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“ რედაქტორებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გამოსვლისას იმედი გამოთქვა, რომ შეთანხმებას „უახლოეს მომავალში“ მოაწერენ ხელს. მან დოკუმენტს ყველაზე დაწვრილებითი უწოდა ... ნი, განაცხადა, რომ შეთანხმების უარყოფას უცილობლად მოჰყვება „საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის მთელი სტრუქტურის განადგურება და ახალი დიდი გამალებული შეიარაღება“.

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგების მეორე ეტაპს მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა. მტკიცედ მწამს, განაცხადა მან, რომ ამერიკელთა უმრავლესობა მოითხოვს ამერი- ... ნების ხალხებს, რომლებიც თანაბრად არიან დაინტერესებული საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებით.

ეს ღონისძიება არა მარტო შეანელებს ბირთვული კონფლიქტის საფრთხეს, არამედ პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს მთლიანად განიარაღების პრობლემის გადაჭრაზე, თქვა უ. ფულბრაიტმა.

შეიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორმა ჯ. სეინიუსმა აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მორიგების მეორე ეტაპს ...

[illegible]

### 9 მაისი ჩეხოსლოვაკიის ეროვნული დღესასწაული



[illegible]

საკიდის ფოტოქრონიკა.





## ახალი საზოგადოების აშენებისათვის

[illegible]

## გმობენ კონტრრევოლუციის ხრიკებს

[illegible]

## გარბიან ჩინეთიდან

[illegible]

# მოკლედ ყოველი მხრიდან

8 მაისი

[illegible]

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 34-ე წლისთავი

# ჩვენი გამარჯვება კაცობრიობის ისტორიის მაღალი მწვერვალია



[illegible] ...რი კომიტეტის თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ჯანჯღავა.

პოლონეთში გამგზავრების წინ ვ. ჯანჯღავამ ამ ქვეყნის ომის ვეტერანთა საბჭოსგან სასიხარულო დეპეშა მიიღო, რომლითაც ატყობინებენ, რომ მას ქალაქ შჩეცინის საპატიო მოქალაქედ ირჩევენ.

[illegible] ...ბაში.

ერთი სიტყვით, პოლონელ მეგობრებთან ახალი შეხვედრები უთუოდ კარგი, საინტერესო ფურცელი იქნება ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ცხოვრებაში. გამგზავრების წინ ვ. ჯანჯღავამ დაგვიტოვა მოგონება, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ. იგი სამამულო ომის დროს პოლონეთის ქალაქ შჩეცინის განთავისუფლებას ეხება.



## გადამწყვეტი დღე

### შჩეცინის განთავისუფლება

**შჩეცინის** განთავისუფლებისათვის სამზადისი 1945 წლის 13 აპრილს დაიწყო. იმ ადგილას, სადაც ქალაქი მდებარეობს, ოდერი ორ ტოტად მოედინება. მათ დასავლეთ და აღმოსავლეთ ოდერს უწოდებენ.

— ეჰ, ოდერი — ეს ორი დნეპრია, პლუს ერთი პრიპიატი, — ხუმრობდნენ ჯარისკაცები იერიშის წინ.

მართლაც, ოდერის მარჯვენა ტოტის სიგანე ორას ორმოცდაათი მეტრი იყო, მარცხენა ტოტისა — თითქმის სამასი მეტრი. მათ შუა კი სამი კილომეტრი სიგანის გაუვალი ჭაობი იყო. ეს წინაღობა უნდა გადაგველახა, რომ რაც შეიძლება მივახლოებოდით ქალაქს გადამწყვეტი იერიშის წინ. 18 აპრილს, არმიისა და დივიზიის ნაწილები დასავლეთ ოდერის მისადგომებთან გამაგრდნენ. თითქმის ყველაფერი ზედმიწევნით იყო მოფიქრებული, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ 19 აპრილს ღამით (რომელიც შემდეგ მებრძოლებმა „ჯოჯოხეთურ ღამედ" მონათლეს), სტიქიამ ისეთი გამოცდა მოგვიწყო, რომ სამუდამოდ დაგვახსომდა.

დივიზია ბელორუსიის მეორე ფრონტის მარჯვენა ფლანგზე იყო განლაგებული. ჩვენი ამოცანა იყო ოდერის მეორე მხარეს პლაცდარმის დაკავება, თან ერთდროულად აქტიური ბრძოლების წარმოება მარჯვენა მხარეს, რადგან ქალაქის სამხრეთი მისადგომები ჯერ კიდევ არ იყო გაწმენდილი ფაშისტებისაგან. იმ დროს, როცა მდინარის გადასალახავად ვემზადებოდით— ფაშისტურმა მთავარსარდლობამ ქალაქის სამხრეთით მდებარე კაშხალი ააფეთქა, რასაც მდინარის კალაპოტში წყლის დონის მკვეთრი აწევა მოჰყვა. ეს კიდევ არაფერი. მთავარი გამოცდა თურმე წინ გველოდა. ღამით შჩეცინის ყურედან უძლიერესმა გრიგალმა შემოგვიტია. შჩეცინის ყურის სიგანე თითქმის ორმოცდაექვსი კილომეტრია, სიგრძე კი ოცდაცამეტი კილომეტრი. გრიგალმა ბალტიის ზღვიდან წყალი მდინარის კალაპოტში ალმა წამოიღო. ეს იყო ნამდვილი წარღვნა. ირგვლივ ყველაფერი მეტრნახევარი სიმაღლის წყლით დაიფარა.

წყალქვეშ მოექცა მთელი საცეცხლე პოზიციები. გამჭოლი სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ჯარისკაცებმა თავს იმით უშველეს, რომ ხეებზე ავიდნენ. კიდევ კარგი, მდინარის შუა გადაშლილ ჭაობზე ხეები მაინც იყო, თორემ სხვას ვერაფერს შეაფარებდი თავს. ჩემი სათვალთვალო პუნქტიც დაიტბორა. ამიტომ ხეზე მოვაწყვეთ კარვის მსგავსი რამ და რადიოსადგური და ტელეფონები იქ გადავიტანეთ. თუმცა არც ზემოდან გვადგა კარგი დღე — გერმანელები განუწყვეტლივ გვიშენდნენ ცეცხლს. სამწუხაროდ, ბევრი მებრძოლი გამოვიდა მწყობრიდან. დილაადრიან არმიის სარდალმა დამირეკა — მზად ხართ თუ არა იერიშისთვისო. მე მოვახსენე რა მდგომარეობაშიც ვიყავით.

— მდინარეს ასეთი რეჟიმი ხშირად ჰქონია, — თქვა მან.

დილით, ცხრა საათსა და თხუთმეტ წუთზე, ჩვენი საარტილერიო მომზადება უნდა დაწყებულიყო. მართლაც, ამ დროისათვის წყლის დონემ მნიშვნელოვნად იკლო, თუმცა ჩვენი დივიზიის პოზიციები ყველაზე დიდხანს იყო დატბორილი. მთელი საცეცხლე პოზიციები ხელახლა მოვაწესრიგეთ. საარტილერიო მომზადების დამთავრებისას დივიზია მზად იყო მდინარის გადასალავად. 20 აპრილს კუროვოსთან ოდერი გადავლახეთ და 1203-ე პოლკის მესამე ბატალიონმა პატარა პლაცდარმი დაიკავა. დანარჩენი ნაწილები მარჯვენა ფრთიდან იგერიებდნენ მტერს. საღამო ხანს უკვე კილომეტრ-ნახევარი სიგრძისა და ხუთასი მეტრი სიგანის პლაცდარმი ჩვენს ხელთ იყო. მომდევნო დღეებში ამ პლაცდარმზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა. 24 აპრილს უკვე მტკიცე პოზიცია გვეჭირა.

ბოლოს გათენდა 26 აპრილი, გადამწყვეტი იერიშის დღე. მართალია თორმეტ საათსა და ოც წუთზე მოწინააღმდეგემ გრიგალისებური საარტილერიო ცეცხლი დაგვიშინა, მაგრამ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ჩვენი სარდლობის მიერ გეგმაზომიერად განხორციელებული შეტევის შეჩერება, რომელიც ცამეტ დღეს მზადდებოდა, მტერს უკვე აღარ შეეძლო. გერმანელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გავტეხეთ და ქალაქი ავიღეთ.

უკვე შორს აღარ იყო გამარჯვების სანუკვარ დღემდე. შჩეცინის აღებიდან ორიოდე კვირის შემდეგ ფაშიზმი საკუთარ ბუნაგში დასამარდა.

**ვ. ჯანჯღავა,**
გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი.

## მკურნალობენ ომის ინვალიდებს

**ჩვენი** სახელმწიფო, კომუნისტური პარტია და მთავრობა მზრუნველობას არ აკლებენ სამშობლოს დამცველთ. ამ ყურადღების ერთ-ერთი ფაქტია ის კეთილმოწყობილი, თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი სამკურნალო დაწესებულება, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა გაიხსნა თბილისში, კოოპერაციის ქუჩაზე. ეს გახლავთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამამულო ომის ინვალიდთა რესპუბლიკური ჰოსპიტალი.

— ჩვენთან ყოველგვარ დაავადებას ვმკურნალობთ, — უთხრა „კომუნისტის" კორესპონდენტს ჰოსპიტლის უფროსმა, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ვლ. სანიკიძემ, — გვაქვს ქირურგიული, თერაპიული, ნევროლოგიური განყოფილებები, რომლებსაც გამოცდილი მკურნალები პროფესორი გ. ფხაკაძე, ო. აბულაძე, ლ. ჯიქია ხელმძღვანელობენ.

## ყოჩაღი ჯარისკაცი... სიცილი!

### ანტიფაშისტური ფრონტული სატირა

[illegible] ...ის ბომბი, რომელიც 100 კილომეტრი რადიუსით ქვას ქვაზე არ ტოვებს... დედამიწის ზურგზე არ არსებობს უფრო მრისხანე ძალა, — ამბობენ სამხედრო სპეციალისტები.

რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს ეს სიტყვები, სოციალური თვალსაზრისით ადამიანებს აქვთ უფრო მძლავრი იარაღი, რომლის წვდომის სფერო რადიუსებით არ იზომება. სატირიკოსებისათვის არ არსებობს „სამხედრო საიდუმლოება", ისინი ოფიციალურად და მთელი სერიოზულობით აცხადებენ, რომ სატირის არსენალშია უფრო მრისხანე — სიცილის ძალა, რომელიც სამყაროს ყოველ წერტილს აღწევს და მიწასთან ასწორებს ყოველივეს, რასაც მისწვდება. ასეთია კორიფეთა აზრი!

ისტორიამ დაადასტურა, რომ სატირა იყო რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი, ახლა კი მას ჰქონდა პატივი ხელში აეღო იარაღი და დაეცვა სამშობლო.

მძიმე განსაცდელის წლებში, დიდი სამამულო ომის მტვრიან ფრონტულ გზებზე საბჭოთა არმიის რიგებში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებთან ერთად მხნედ მიაბიჯებდა ყოჩაღი ჯარისკაცი... სიცილი! დღეს მისხალ-მისხალ არის დაანგარიშებული მეორე მსოფლიო ომის ყველა ანგარიში, მაგრამ სტატისტიკას არ ძალუძს დაიანგარიშოს მებრძოლი სატირის „შემოსავალ-გასავალი".

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში დევს ბრძანება ამიერკავკასიის ფრონტის შავი ზღვის ჯგუფის პოლიტიკური სამმართველოსადმი, რომელსაც დღის სინათლე შეაქვს არმიის სულიერი განწყობილობისა და გამარჯვების უზრუნველსაყოფად სიცილის როლის გარკვევაში: „მინიატურების ფრონტულმა თეატრმა „მხიარულმა დესანტმა"... სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე ორთვენახევრის განმავლობაში ჩაატარა 70 სპექტაკლი და მოემსახურა 25000 კაცს... თეატრმა შეძლო გამოეძებნა საშუალებები ემოქმედა მებრძოლთა გრძნობებზე, გაეღვივებინა მტრისადმი სიძულვილისა და შურისძიების გრძნობა..." ბრძანებას ახლავს ნაცნობი ხელმოწერა: „ამიერკავკასიის შავი ზღვის ჯგუფის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე, ბრიგადის კომისარი ლ. ბრეჟნევი".

მებრძოლები იხსენებენ ჯარისკაცი-სიცილის მონაწილეობის ეპიზოდს ცრემლსა და სისხლში ჩაძირული მცირე მიწის ისტორიიდან. აქ, ამ ცეცხლოვან მიწაზე, სადაც ერთი წუთითაც არ წყდებოდა სროლის ხმა, უეცრად სიჩუმე გამეფდა, რომელმაც რამდენიმე დღეს გასტანა. ეს იყო ყველაზე საშინელი დღეები. ამ სამარისებურ ხელოვნურ სიჩუმეში მთელი არმია ერთ უკიდურესად დაჭიმულ სიმად იქცა. ბოლოს ამ სიჩუმესაც აეხადა ფარდა „ენით", რომელიც მეზღვაურებმა დაატყვევეს სატელეფონო ხაზის შემოწმებისას. გერმანელმა ჯარისკაცმა დაფქვა: რას ნიშნავს სიჩუმე?... დიდი შეტევა მზადდება. ჩვენი ფიურერის დაბადების დღისათვის თქვენ აქედან უნდა აიბარგოთ...

ვნახოთ, ვინ — ვის! — გაიფი- [illegible]

...ზე, რომ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ამ „ძღვენის" დანახვაზე ილდა ეცათ.

ეს მოხდა 1943 წლის 20 აპრილს. ჩვენმა ჯარისკაცებმა თავიანთი სანგრების წინ გამოდგეს მესამე იმპერიის კანცლერის ისეთი კარიკატურა, რომ ჰიტლერელები ჭიპზე გასკდნენ, მაშინვე შეწყვიტეს ცეცხლი — გადაწყვიტეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მოეხსნათ ფარი, მაგრამ ყოველი ნაბიჯი თავიანთი ფიურერისაკენ ერთობ ძვირად დაუჯდათ. პირველსავე ცდაზე 14 გვამი დარჩა. დარწმუნდნენ, დაღამებამდე სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა მოეთმინათ ამ ამაზრზენი სიფათის ყურება. ჩვენს სანგრებში კი ბიჭები სიცილით იჭაჭებოდნენ.

მეორე დილით ჯარისკაცებმა გაიგონეს თავიანთი ოცმეთაურის ხმა:

— ძმებო, ჰიტლერის დაბადების დღე ჩვენ ღირსეულად აღვნიშნეთ, საჩუქრებიც ბლომად მივართვით, — გაიშვირა მან ხელი ჰიტლერელთა გვამებისაკენ; მგონია, დადგა დრო, ჩვენ თვითონ მოვუღოთ ბოლო ამ სატანას...

დასცხეს ნაღმსატყორცნებმა, გაფრინდნენ ხელყუმბარები, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, ავტომატები და ფარი კარიკატურულ პლაკატთან ერთად ნაკუწ-ნაკუწ წავიდა...

როცა გათენდა, მედესანტეებმა სანგრის წინ დათვალეს ათობით გვამი ჰიტლერელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა, რომლებიც თავიანთი ფიურერის კარიკატურის მოხსნას ლამობდნენ, — ვკითხულობთ წიგნში „როცა ქვემეხები გრგვინავდნენ". ესეც თქვენი ერთი ანგარიში მებრძოლი სიცილისა, მთლიანად კი დიდ სამამულო ომში სატირული სიცილით მოკლულთა რიცხვის დაანგარიშება არც ერთ სტატისტიკას არ ძალუძს.

დიახ, სიცილს მოჰქონდა დიდი პრაქტიკული შედეგები. ის ამაღლებულ სულს შთაბერავდა ჯარისკაცებს, რაც უთუოდ ეხმარებოდა გამარჯვებას.

ერთიმეორეზე მიყოლებით ჩნდებოდნენ ფრონტულ გაზეთებში ახალი სატირული სათვალთვალო პუნქტები. გამამხნევებელი სიცილით მიყავდა ჯარისკაცი შეტევაზე.

სიტყვა იწრთობოდა ბრძოლაში, სიცილი მობილიზებული იყო წითელ არმიაში, როგორც რიგითი ჯარისკაცი, სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე. ამ ჯარისკაცს ტყვია არ ეკარებოდა, ცეცხლი არ წვავდა, ვერ მოკლავდი, ტყვედ ვერ წაიყვანდი, ვერ ჩაახშობდი, ვერ დახვრეტდი, ვერ ჩამოახრჩობდი. მისგან კი მტერს არ ჰქონდა მოსვენება. „სიცილის კავალერია" უმოწყალოდ ანადგურებდა მტერს. გადაფურცლეთ ცეცხლსა და ტყვიის წვიმაში გამოცემული ფრონტული გაზეთები, რომელთა გრიფებს აწერია: „ნაწილიდან არ გაიტანო!", „წაკითხვისთანავე დაწვი"!. „ერთი გაზეთი ხუთ კაცზე", „წაიკითხე და გადაეცი ამხანაგს"... ყოველ ნომერში შეხვდებით გვერდებს სატირული განყოფილებებით: „ხიშტზე", „სიცილმტყორცნი", „პირდაპირ შუბლში", „კაკალ გულში", „ჯარისკაცები დასვენებაზე", „პირდაპირი დამიზნებით", „ფრონტული იუმორი", „ანტიფაშისტური სატირა" და სხვ.

ფრონტული გაზეთების სამხედრო პუბლიცისტიკის სატირული მრისხანების გარდა ამ სახეობის შეიარაღებაში იყო „პოლიტიკური სატირის ფანჯრებიც" — პლაკატები, რომლებსაც უშვებდა ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველო.

სიცილი ასევე განუყრელი მოკავშირე იყო ქართველი ჯარისკაცებისა. ეს გრძნობა ტიპურია ჩვენი ეროვნული თავისთავადობისა და ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ქართულ პერიოდიკაში მძლავრად იგრძნობა სატირული ნაკადი. სნაიპერული სიტყვის ოსტატებთან — ტიორკინებთან, გრანატკინებთან, პულკინებთან ერთად კავკასიის ფრონტზე მათ მხარდამხარ იბრძოდნენ „ბეთქა სნაიპერაძე", „ტყვიაძე" და სხვები.

ქართულ სამხედრო პრესაში ვაწყდებით არა ერთ შემთხვევას, როცა გაზეთები ფრონტულ ვითარებაში სპეციალურ კონკურსებსაც კი აწყობდნენ „მხიარული მოთხრობისათვის".

სიცილი, როგორც მტრის გულგამგმირავი იარაღი, გვხვდება ჩვენი მოკავშირეების სამხედრო არსენალშიც. ზემოხსენებულ კონკურსთან დაკავშირებით გვახსენდება საინტერესო ფაქტი: მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისელებმაც გამოაცხადეს კონკურსი „მხიარული ანტიფაშისტური მოთხრობისათვის". ომის დროს, მოგეხსენებათ, თითოეული ბეჭდვითი სიტყვა მკაცრ აღრიცხვაზე იყო აყვანილი და, ასე ვთქვათ, ბევრი „ლაი-ლაის" დრო არ რჩებოდა. ამის გამო, კონკურსის პირობები მკაცრად განსაზღვრავდა, რომ მოთხრობა 150 სიტყვას არ უნდა აღემატებოდესო.

150 სიტყვისაგან შემდგარი „მხიარული ანტიფაშისტური მოთხრობის" კონკურსში გაიმარჯვა ინგლისელმა ზემდეგმა, ხოლო მოთხრობის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: რიგითმა ჯარისკაცებმა ფრიცმა და კურტმა, რომლებსაც ქვირის დღესავით ეჯავრებოდათ თავიანთი ეფრეიტორი ჰანსი, ფეხსალაგში ფიცრები გადაუხერხეს...

ესეც შენი 16 სიტყვა, დანარჩენი 134 სიტყვა ეფრეიტორმა ჰანსმა თქვა ორმოში!...

და ისმოდა სიცილი ჩვენი პოზიციებიდან. ანტიფაშისტური სატირა, ფრონტული გაზეთების სატირული სიცილმტყორცნები ჩვენი საცეცხლე პოზიციებიდან ფაშისტებს ელაპარაკებოდა ცეცხლის ენით, ტყვიასავით სიტყვით და ხიშტების ენამახვილობით. სამაგალითოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი, სიტყვა მივცეთ ყოჩაღ ჯარისკაცს...სიცილს!

### წერილი

**ჩარლი** ჩაპლინმა ომის დროს წერილი გაუგზავნა ჰიტლერს: „ადოლფ ბელზებელის ძევ! მე შემიძლია შენ გაპატიო ყველაფერი, ვთქვათ ის, რომ შენ გარეგნულად მგავხარ მე, ისიც, რომ შენი მიხვრა-მოხვრა ისეთივეა, როგორიც ჩემი, ისიც, რომ შენი ულვაში ჰგავს ჩემსას... ჯანდაბას, მაგრამ მე არაფრით არ შემიძლია გაპატიო ის თავხედობა, რომ ახლა მთელი ქვეყანა შენზე უფრო მეტს იცინის, ვიდრე ჩემზე".

### უკანასკნელი თხოვნა

დახვრეტის წინ ეფრეიტორ ჰანსს, რომელიც მხილებულ იქნა ღალატში (რადგან ბრძანებაზე „წინ!" უკან მოუსვა ბაყაყური), ობერლეიტენანტმა უთხრა:

— მოიფიქრეთ თქვენი უკანასკნელი თხოვნა.

— მე უკვე მოვიფიქრე, — უპასუხა ეფრეიტორმა. — გთხოვთ დამმარხოთ ჩემი საყვარელი ფიურერის გვერდით.

— სულ გამოთაყვანებულხარ, ფიურერი ხომ ცოცხალია!

— არა უშავს, მე მოვიცდი.

### ძველი ნაცნობები

ერთი გერმანელი ჯარისკაცი ეკითხება მეორეს:

— რაშია საქმე, ფრიც! რუსების არტილერიის ყოველ გასროლაზე თავს მიწამდე რომ ხრი?

— სალამს ვაძლევ.

— ვის?

— ჩემს ძველ ნაცნობს — რუსულ ქვემეხს, რომელსაც 1914 წლიდან ვიცნობ.

### ჩვეულებრივი ისტორია

— ამბობენ, იქ შეიძლება კაცი გამდიდრდეს, — თქვა ფრიცმა და აღმოსავლეთის ფრონტზე წავიდა.

აწ განსვენებული 26 წლისა იყო.

✦

—ჩემი აზრით, კავკასიაში გაცილებით იოლია ჩვენი მდგომარეობა, ვიდრე სხვა ფრონტებზე.

— ფრიც, შენ ჯერ, როგორც ჩანს, კავკასიური მწვადი ან შამფური არ გიგემნია. დაიჯერო ახლა, კავკასიიდან გაქცევა უფრო იოლია, ვიდრე სხვა ფრონტიდან?

— რასაკვირველია, მთებიდან გაქცევას რა უნდა, აქ ხომ დაღმართია...

### ზუსტი ცნობა

მზვერავი — ბებია, ბევრი ფაშისტია დარჩენილი თქვენს სოფელში?

ბებია — ბევრია შვილო, ძალიან ბევრი — მთელი სასაფლაო.

✦

დიახ, სიცილის ყუმბარები სკდებოდნენ მტრის რიგებში და მათ ფეხქვეშ მიწა იწვოდა, ანტიფაშისტური სატირული სიცილი ისმოდა კავკასიის მთებიდან მდინარე ოდერის ნაპირებამდე. ყოჩაღი ჯარისკაცი სიცილი ბრძოლით მიიკვლევდა გზას გერმანიის ფაშიზმის ბასტიონის, მესამე იმპერიის ტახტის — რაიხსტაგისაკენ!

**გ. ნიჟნიანიძე.**




## სატირული ფრიცების მკურნალობის ფიზიკური მეთოდები



1. ცხელი წყაროები.
2. ტალახის აბაზანები
3. დაზელვა.
4. მთის ჰაერი
5. ნემსები.
6. ტანთვარჯიში. (უნებლიე მოძრაობა)

ნახატი ვ. კარხეტის

## ქალნი მამაცნი და უშიშარნი...

„კოლხიდის გმირნი, უმაღვილნი ქალნი ომში მამაცნი და უშიშარნი".
ესქილე.

„არის ერთი დიდი იდეა, რომელსაც შეუძლია არა მარტო ერთი ადამიანი, არამედ მთელი ხალხები აქციოს დევგმირებად. ეს არის კომუნიზმის დიადი იდეა — ბრძოლა ხალხთა ბედნიერებისათვის". — ნიკოლოზ ოსტროვსკის ამ ნათქვამმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა დიდი სამამულო ომის დროს. ამ დიადი იდეის დროშის ქვეშ იბრძოდა და მასობრივ გმირობას ავლენდა მილიონობით საბჭოთა ადამიანი. სხვა მოძმე ერის შვილებთან ერთად 16 ათასი ქართველი ქალი იდგა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

1941 წლის ივნისში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი სტუდენტთა მეოცე გამოშვებისათვის საგანგებოდ ემზადებოდა. მთელი კოლექტივის სიხარული ომის მოულოდნელად გამოცხადებამ მწუხარებით შეცვალა. ინსტიტუტდამთავრებულთა უმრავლესობამ ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და ომის გზას გაუდგა. მათ რიგებში იყო ცაცა ღლონტიც. ქართველი გოგონა 151 მსროლელი დივიზიის 228 მედსანიტარიული ბატალიონის ქირურგად ჩარიცხეს. ეს ის პერიოდია, როცა ჩვენი ნაწილები უკან იხევდნენ. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა რთული ამოცანების გადაწყვეტას, საჭირო იყო დაჭრილი მეომრებისათვის სასწრაფო და აუცილებელი დახმარების აღმოჩენა, მათი ევაკუაცია, მედსანიტარიული ბატალიონის აღჭურვილობის ღრმა ზურგში გადატანა... — ამ რთულ საკითხებს ახალგაზრდა ექიმი კარგად ართმევდა თავს.

მალე ფრონტზე მდგომარეობა შეიცვალა, ინიციატივა ჩვენი არმიის ხელში გადმოვიდა, ამან კიდევ უფრო დიდი ამოცანების წინაშე დააყენა მედიცინის მუშაკები. ახლა ცაცა ღლონტი გამოცდილი ექიმი იყო. მას უკვე არა მარტო ბრძოლის ველიდან გამოჰყავდა დაჭრილები, არამედ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას უწევდა მათ...

ბრძოლებში გამობრძმედილი ქალი დღემდე ენერგიულად დგას ხალხთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, არის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკური საავადმყოფოს პირველი ქირურგიული კათედრის ასისტენტი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

ომის დაწყებისთანავე ჩარიცხეს 220 მსროლელი დივიზიის 320-ე სანიტბატალიონში ექიმის თანაშემწედ ელენე ფეიქრიშვილი, რომელმაც ის-ის იყო სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა. დივიზია მალე ჩაება ბრძოლაში და ფრონტისპირა სანიტბატალიონის მედპერსონალი დღე და ღამეს ასწორებდა. სანიტბატალიონის მთელმა მედპერსონალმა მონაწილეობა მიიღო როსტოვთან წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, დნეპრისა და დუნაის ფორსირებაში, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის განთავისუფლებაში.

ელენე ფეიქრიშვილს წითელი ვარსკვლავის ორდენი და „საბრძოლო დამსახურების" მედალი გადაეცა. მისი საბრძოლო დამსახურება ბევრჯერ იყო აღნიშნული გამოჩენილ სამხედრო პირთა მემუარებში და ჟურნალ-გაზეთებში.

დიდი საბრძოლო გზა გაიარა რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა თამარ მდივანმა. 1941 წელს იგი უკვე გამოცდილი ექიმი იყო. ამიტომ გარნიზონის პოლიკლინიკის ქირურგიული განყოფილების გამგედ დანიშნეს. იგი მონაწილეობას იღებდა ჯერ მეოთხე, ხოლო შემდეგ მესამე უკრაინის ფრონტებზე. ომის დამთავრების შემდეგ იგი სამხრეთის ჯარების ჯგუფის ერთ-ერთ ჰოსპიტალში სამუშაოდ დარჩა. რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი დღეს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკური საავადმყოფოს რეამინატოლოგიის განყოფილების გამგეა.

ფრონტელი ქალები ისევ მწყობრში არიან, კვლავაც ჩვეული ენერგიით დგანან ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

**მარიამ მუშკუდიანი,**
ომის ვეტერანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.

## დაუვიწყარი შეხვედრა

### პარტიზანული ბილიკებით

**ჩემი** მცირე პარტიზანული ჯგუფი 1941-42 წლებში ორჯერ გაანადგურეს გერმანელმა ფაშისტებმა, მაგრამ კვლავ შევძელი ახალი ჯგუფი შემექმნა 8 ქალისა და 72 მამაკაცის შემადგენლობით.

გერმანელ ფაშისტთა განუწყვეტელი დევნის შედეგად იძულებული გავხდით მდინარე ბუგზე გადავსულიყავით და იქ, ბელორუსიაში, შეგვეფარებინა თავი.

აქ მე პარტიზანული ნაწილის დაზვერვის უფროსად დამნიშნეს. თავდაპირველად ბელორუსიაში მოქმედებდნენ პარტიზანთა მცირე ნაწილები და ისიც ცალ-ცალკე, ამიტომ ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლებში ხშირად ვმარცხდებოდით. მთავარმა ბანაკმა და გენერალურმა შტაბმა ყოველივე ეს გაითვალისწინეს და 1943 წელს ბრესტის რაიონში პარტიზანული ბრძოლების გასაძლიერებლად პარტიული მუშაკი მიხეილ ვასილის ძე ზიმიანინი (ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი) გამოგზავნეს. აქ მან დიდი მუშაობა გასწია პარტიზანული ნაწილების გასაერთიანებლად და დასარაზმად. გაერთიანებული ნაწილის უფროსად გამოცდილი სამხედრო მოღვაწე გენერალ-მაიორი ზაქარია ვასილის ძე კორჟი („კომაროვი") დანიშნა.

მახსოვს, 1943 წლის მაისის ბოლოს ბრიგადის უფროსმა მ. გერასიმოვმა გამომიძახა და დავალება მომცა — უნდა გავძღოლოდი ოცეულს და შტაბიდან დაახლოებით 40-45 კილომეტრზე მდებარე ხიდი აგვეფეთქებინა.

ეს პირველი დავალება იყო პარტიზანთა ნაწილების გაერთიანების შემდეგ. ჯგუფის უფროსად პ. პატალახა დაინიშნა. სათანადო მომზადების შემდეგ მალარიტაში გავემგზავრეთ, საიდანაც ორ მტოდ იყოფოდა რკინიგზა. სწორედ აქ უნდა აგვეფეთქებინა ხიდი, რომლის სიგრძე 200 მეტრი იყო. გადაუღებლად წვიმდა, თავით ფეხამდე დავსველდით. მეკავშირეს გზა აებნა, ბევრი ვიხეტიალეთ ჭაობებსა და ტყეში და, როგორც იქნა, მივადექით ხიდს. მისი აფეთქება მეტად ძნელი აღმოჩნდა, რადგან ფაშისტები მას გაძლიერებით იცავდნენ. სწორედ ამ ხიდის საშუალებით გადაჰყავდა მტერს ცოცხალი ძალა, მიჰქონდა საბრძოლო ტექნიკა.

უხმაუროდ გავუსწორდით მცველებს, ხიდის ორ ადგილზე ასაფეთქებელი ტოლები დავდეთ, ზონარს ცეცხლი მოვუკიდეთ და სწრაფად უკან დავბრუნდით. მალე ცეცხლმა ხიდი ჰაერში ატყორცნა. ატყდა სროლა, მაგრამ ჩვენ უკვე მოვასწარით ტყეში შესვლა, ყველანი გადავრჩით.

ტყეში კი აქა-იქ კანტიკუნტად კვლავ გაისმოდა ტყვიების ზუზუნი. ერთი საათის შემდეგ ისევ სიწყნარე ჩამოვარდა, ეტყობოდა, გერმანელები წასულიყვნენ. ჩვენ ისევ ბრძოლის ველზე დავბრუნდით და აი რა საზარელ სურათს წავაწყდით: პ. პატალახა და ვ. პეშნოვი ტყვიით დაცხრილულნი ეყარნენ მიწაზე. ჩემ გარდა ჯგუფში კიდევ სამი კაცი იყო დაჭრილი, ხოლო კატია ლიტვინჩუკი, ეს ერთადერთი ქალიშვილი (სანიტარი) ჩვენს ოცეულში არ ჩანდა.

ნაძვის ხის მახლობლად ნაკადული ჩამოდიოდა, მის ნაპირზე დავასაფლავეთ დახოცილები. ძალზე გვაინტერესებდა კატიას ბედი, არც ცოცხლებში ჩანდა და არც მკვდრებში. დაღამებას დაველოდეთ, ვთხოვეთ მცხოვრებლებს, ტყის მცველებს დაგვხმარებოდნენ კატიას ძებნაში. მეორე დილით ვიპოვეთ იგი — ტყეში დასახიჩრებული ეგდო... გადარჩენილები შტაბში დავბრუნდით, გზას თითქმის ერთი დღე-ღამე მოვუნდით, გვეგონა შტაბში ჩვენი ამბავისა არა იცოდნენ რა, მაგრამ თურმე ყველაფერი გაეგოთ. ფაშისტებს უკვე გამოეცხადებინათ: მართალია, საბჭოთა პარტიზანებმა მცველების დახოცვა და ხიდის აფეთქება მოახერხეს, მაგრამ ბანდიტები გავანადგურეთო.

ჩვენს დავალების შესრულებას მაღალი შეფასება მისცა შტაბმა. გერმანელებმა ორი კვირის განმავლობაში ვერ აღადგინეს ხიდი და ის ოპერაციაც, რომელსაც მტერი ამზადებდა, განუხორციელებელი დარჩა.

1977 წლის 6 ივნისს მიხეილ ვასილის ძე ზიმიანინი თბილისში გვეწვია. ყოფილ პარტიზანებთან ერთად მეგობრობის მუზეუმში მოვიგონეთ ბრესტის რაიონში 1943 წელს მომხდარი ამბები. ეს მართლაც რომ დაუვიწყარი შეხვედრა იყო.

**ნ. იაშვილი,**
ყოფილი პარტიზანი.

## მაისის ეკრანი

### „კომუნისტის" კინოაფიშა

**როგორია** მაისის კინოაფიშა, რას ნახავენ ჩვენი მაყურებლები კინოთეატრებში? კინოგაქირავების კანტორა და კინოფიკაციის სამმართველო საინტერესო და შინაარსიან კინორეპერტუარს უჩვენებენ მაყურებელს.

გამარჯვების დღესასწაულის დღეებში დასრულდება ოცსერიიანი კინოეპოპეის „დიდი სამამულოს" დემონსტრირება დედაქალაქის კინოთეატრებში.

მაისის პირველ ნახევარში ეკრანებზეა ახალი ქართული კინოალმანახი „ისევ სიხარულს ვეძებ", რომელშიც შედის სამი ნოველა: „ბენზინის ჩამომსხმელი", „რბოლა" და „უუთები". „ბენზინის



ჩამომსხმელი" საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულის, ახალგაზრდა რეჟისორის ბ. ჩხეიძის სადიპლომო ნამუშევარია. მასვე ეკუთვნის მეორე ნოველაც „უუთები", იგია ფილმის სცენარის ავტორი, დამდგმელი რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელიც. მესამე ნოველა „რბოლა" დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა თ. გომელაურმა. სამივე ნოველა თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრებას ასახავს.

ეკრანის საინტერესო სიახლეა რეჟისორ ბ. ხალზანოვის ახალი ფართოეკრანიანი მხატვრული ფილმი „მთვარის დაბნელების ღამეს", რომელიც მ. კარიმას ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით შეიქმნა.

დიდი რუსი მეცნიერის, სწავლული მიკრობიოლოგის, ნობელის პრემიის ლაურეატის ილია მეჩნიკოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება რეჟისორ ა. სპეშნევის ახალი ფილმი „ჭეშმარიტების საზღაური", რომელიც მ. გორკის სახელობის კინოსტუდიაში შეიქმნა. დიდი მეცნიერის როლში ვნახავთ სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის მსახიობს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს ნ. პოდგორნის.

ცნობილი საბჭოთა მსახიობის ჟანა პროხორენკოს ნიჭის თაყვანისმცემლებს ვიწვევთ რეჟისორ ვადიმ აბდრაშიტოვის ფილმის — „ახალ ადგილზე" სანახავად.

სპორტის მოყვარულებს და სპორტული ფილმების თაყვანისმცემლებს კი რიგელი კინემატოგრაფისტები სთავაზობენ ახალ ფილმს „მამაკაცური თამაშები სუფთა ჰაერზე". ფილმის დამდგმელი რეჟისორია რ. კალნინვში.

**სამაისოდ** გლდანის დასახლებაში გაიხსნა კინოთეატრი „მეგობრობა".

მაყურებელთა განკარგულებაშია ორი დარბაზი: მოზრდილთა და ბავშვთა. ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით ეს კარგი საჩუქარია, ყმაწვილები აქ ფილმს მათთვის. განკუთვნილ დარბაზში ნახავენ, ხოლო თუ პატარა ჭირვეულობას დაიწყებს, მშობელს საშუალება ექნება კეთილმოწყობილ ბავშვთა ოთახში მიაბაროს იგი ფილმის დამთავრებამდე.

**ო. თოლორაია,**
თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი.

# ვინ იცნობდა ლეიტენანტ ფერაშვილს?

საქართველოს სსრ კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი სულ ახლახან დაკომპლექტდა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ამსახველი საინტერესო ფონოჩანაწერებით... განსაკუთრებით დაგვაინტერესა ერთმა მათგანმა, რომელიც დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში, ფრონტზე ერთ-ერთ სამხედრო აეროდრომზეა ჩაწერილი. ამ ფონოდოკუმენტმა გამოავლინა კიდევ ერთი შინმოუსვლელი კომკავშირელი ქართველი ჭაბუკის ლეიტენანტ ფერაშვილის გმირულად დაღუპვის ამბავი...

მეექვსე გვარდიული ავიაპოლკის კომისარი შევჩენკო საკავშირო რადიოს კორესპონდენტს მოუთხრობს საჰაერო ბრძოლის შესახებ: ლეიტენანტმა ფერაშვილმა მტრის ორი ავიაგამანადგურებელი მოსპო. ის იყო ესკადრილია ბაზაში დაბრუნებას აპირებდა, რომ საიდანღაც გერმანული ავიაგამანადგურებელი გამოჩნდა. ფაშისტმა მიზანში ესკადრილიის მეთაურის თვითმფრინავი ამოიღო და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა. მტრის თვითმფრინავის ეს მანევრი ჭაბუკმა მფრინავმა ფერაშვილმა შენიშნა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, მაგრამ რაექნა, როცა ტყვია-წამლის ნატამალიც აღარ გააჩნდა! მამაცმა კომკავშირელმა სწრაფი გადაწყვეტილება მიიღო: იგი მტრის თვითმფრინავს ეძგერა თავისი მანქანით... ესკადრილიის მეთაური გადაარჩინა, თვითონ კი გმირულად დაიღუპა.

ვინ იყო ლეიტენანტი ფერაშვილი (ან იქნებ ბეროშვილი) — კომკავშირელი ქართველი ჭაბუკი, რომელმაც გმირობის კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა სამამულო ომის ისტორიაში?

გთხოვთ გმირი ჭაბუკის ახლობლებს, მეგობრებს, თანამებრძოლებს გამოგვეხმაურონ და დროებით გამოგვიგზავნონ მისი ფოტოსურათები, წერილები, მოგონებები, საერთოდ მოგვწეროთ მის შესახებ.

ჩვენი მისამართებია: თბილისი — 59, ვაჟაფშაველა, № 1, საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14, გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია.

**ბ. ჩიკვაიძე,**
საქართველოს სსრ კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი.

---

ყველაზე დიდი ტკივილი და მწუხარება ომმა დედის გულს მიაყენა და სწორედ დედის გულის ძალამ დაამარცხა ომი. დღევანდელი გამარჯვების სიხარულს მათი, შინმოუსვლელთა დედების, სევდა სდევს...

*რედაქტორის სვეტი*

# კალმით სიკვდილი მკვდრისა, კაცით წამიერ აღდგომა

წელს ბიჭვინთაში გამართულ ჟურნალისტთა სემინარზე „ლენინსკოე ზნამიას" რედაქტორის მოადგილე პოდპოლკოვნიკ ვლადიმერ სოროკინისაგან შემთხვევით შევიტყვე, რომ გადადგომის შემდეგ პოლკოვნიკ მაქსიმე დუბოდელს მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ჩვენი ქალაქი აურჩევია.

თოთხმეტი წლის წინანდელი ერთი ცხოვრებისეული ვითარება გამახსენდა და მოვალეობის გრძნობამ მიკარნახა მკითხველისათვის გამეცნო იგი.

1965-ში 49 წლისა ინსულტით გარდაიცვალა გადამდგარი მაიორი ნიკოლოზ რამიშვილი. მოახლოვებული გარდუვალობა რომ გაიაზრა, დაიბარა: ეცადეთ, ბავშვები არ შემიშინოთ და ჩემს დასაფლავებაზე რაც შეიძლება მეტი სამხედროები მოიწვიეთო.

კოჯრის საბავშვო სახლის აღზრდილმა, შემდეგ ხარკოვის კავშირგაბმულობის სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა კადრის ოფიცერმა ოთხი წელი იომა და თექვსმეტი საბრძოლო ორდენი და მედალი დაიმსახურა. და ახალგაზრდა მოკვდა.

გერონტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის ამჟამინდელი ასაკობრივი სკალა, რომელიც ახალგაზრდობის ჭერად 45 წელს მიიჩნევს, მაშინ ჯერ კიდევ გამოყვანილი არ იყო, მაგრამ, როცა ვამბობ ახალგაზრდა მოკვდამეთქი, ასაკს არ ვგულისხმობ. დიდად ნატანჯი იყო — მთლად გაჭალარავებული, ტანზე დასერილი და დალარული, გული და განცდა კი მაინც ჭაბუკური ჰქონდა.

მკვიდრ ბიძაზე ახლობელი იმ დროისთვის არავინ მომკვდენოდა და, ბუნებრივია, დაკრძალვის სამდღიანი ცერემონიალის ცენტრში აღმოვჩნდი.

აი მაშინ აღბეჭდა მეხსიერებამ სწორედ ცერემონიული ხასიათის ორი მომენტი, რომელთა აღწერის მოთხოვნილება დღემდე გამომყვა.

გარდაცვალებულის პასპორტის მმაჩის ბიუროში მიტანა ჭირისუფალთაგან მე მომინია.

ხომ ვიცოდი, რომ ძალიან ახლობელი, მოამაგე ადამიანი დავკარგე. მოკვდა კაცი და, როგორც იტყვიან, უკვე შეცხადებული გვყავდა, მაგრამ იგი ჩემთვის ხელახლა, თითქოს ამჯერად უკვე ნამდვილად და საბოლოოდ მოკვდა მაშინ, როცა მმაჩის თანამშრომელმა მისი პასპორტის სატიტულო და მომდევნო გვერდებს ჯვარი გადაუსვა, როცა პასპორტის სურათზე ნანვალები კაცის ჩაღრმავებული თვალების სევდიანი გამომეტყველება ტუშის მედედებულმა სითხემ მოშალა.

უგუნური ინსტრუქციის სისასტიკე პირველად გამოვცადე და იქვე, მყისვე მეხსიერებამ აღმიდგინა ჭაბუკობის ხანის ერთი უსიამო შთაბეჭდილება... როგორღაც ხელთ მომხვდა ავადმყოფობის ისტორიის ადამისჟამინდელი, ვიღაცის მიერ შემუშავებული და დაკანონებული ნიმუში, რომელშიც გრაფების — „ავადმყოფი შემოვიდა", „გაეწერა" — გვერდით იყო გრაფა „მოკვდა" (რაღა თქმა უნდა, სიკვდილის თარიღის შესავსებად დატოვებული პუნქტირით). რა სისულელეა სიკვდილის წინასწარ გათვალისწინება, დაგეგმვა-მეთქი, გავიფიქრე მაშინ. ახლა კი, როცა აღმოსაჩენი გამიხდა მკვდრის პასპორტის გაუქმების სხვა რამ მეთოდი, რომელიც ცოცხალს კაცს გულს არატკენდა, მთელი სიმწვავით განვიცადე არაარსებითი დეტალების არსებითობა.

მმაჩის ბიუროდან ჯერ რაიონის სამხედრო კომისარს მივადექი, მერე რესპუბლიკისას. ერთი პოდპოლკოვნიკი იყო, მეორე გენერალი. ამაოდ ვეცადე დამერწმუნებია ერთიც და მეორეც პატივი ეცათ ჩემი მიცვალებულის ანდერძისათვის, სამგლოვიარო პროცესიას ერთი ათეული მაინც ხლებოდა თან. მითხრეს, რამიშვილის ანდერძი არ უთანხმდებაო ამა და ამ ინსტრუქციის ამა და ამ პარაგრაფს.

სამაგიეროდ ერთმა კაცმა არ გასწირა პარაგრაფისაგან განწირი მკვდარი და დამარხვის დღე გამილამაზა. იმ დღეს, ადრიანად ვიღაცამ მირჩია ქალაქის სამხედრო კომენდანტთან მივსულიყავი. ორდენებიანი სურათი წავიღე, მაინც ხელჩაქნეული მივდიოდი, ვფიქრობდი, თუ ჩემმა თანამემამულეებმა ვერ აუარეს გვერდი ინსტრუქციას, რუსი — მით უმეტეს, გენერალმა ვერ მიშველა და კომენდანტი რას იზამს-მეთქი.

— როგორ თქვით, თვითონ ისურვაო ასე? მკითხა პოლკოვნიკმა დუბოდელმა, — გარდაცვლილის სურათს დააცქერდა და დაუმატა, — წადით, სამხედროები შესაფერის პატივს დასდებენ მაიორის ხსოვნას.

დასაფლავებას მართლაც ბევრი სამხედრო დაესწრო. მოქმედიც და გადამდგარიც ფორმით მოვიდა. ოცეულს ჰქონდა ლამაზი, დამწუხრებულად დინჯი, აზრიანად შეყოვნებული ნაბიჯი. გათხრილი საფლავის თავთან დუბოდელმა მომძებნა და მომისამძიმრა — ჭირისუფალთა შორის ხომ მარტო მე მიცნობდა.

გაისმა ზალპი, ჰაერი დაიდენთა. მომეჩვენა, რომ ცხედარი შეინძრა...

დღეს გამარჯვებისა და მეომრის ხსოვნის სუფრას მაიორ რამიშვილის ოჯახში მაქსიმე ანიკის ძე დუბოდელი უთამადებს.

---



# მაცოცხლე შენს გულში, დედა!

**დასაბამიდან** ასე მოდის: თვალის ახელვისთანავე ბავშვი დედისა და მამის მზრუნველ სახეებს ხედავს და, აქედან მოყოლებული, მისი სიცოცხლე — ბედნიერი და უშფოთველი ბავშვობის წლები ამ ორი ადამიანის თავდადებული და უანგარო სიყვარულით არის გამთბარ-გასხივოსნებული. ამ სიყვარულის, მხოლოდ ამ სიყვარულის წყალობით არის „ბედნიერი, ბედნიერი, დაუბრუნებელი ბავშვობის ხანა".

წლები გადის, ბავშვი იზრდება — ვაჟკაცდება, ქალდება, მშობლისათვის კი ცხოვრების დაღმართი იწყება, და დაძაბუნებულ მშობლებს ახლა უკვე შვილი ამოუდგება მხარში, ცდილობს შეუმსუბუქოს ასაკის ტვირთი, სიყვარულით, თანაგრძნობით გაუთბოს მიმავალი წლები.

ასეთია კაცთა მოდგმის ძველთაძველი ადათი, ადამიანთა ცხოვრების უბრალო და სამართლიანი კანონი.

მაგრამ ზოგჯერ, რაღაც საბედისწერო მიზეზით, ეს კანონიც ირღვევა. მოხუცი მშობლები მარტონი რჩებიან, სიკვდილამდე მარტონი, და უკვე აღარავის და აღარაფერს არ ძალუძს ამ მარტოობის დარღვევა.

იმ ადამიანებისათვის, ჩვენს წერილში რომ მოვიხსენიებთ, ...

... გორ ზრუნავს სოფელი ორი ვაჟკაცის დამკარგავ დედაზე — პარასკევა ხურცილავაზე. მოხუცი პატარა ფიცრულ სახლში ცხოვრობდა. კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა მისთვის კაპიტალური სახლი აეშენებინა და ერთ წელიწადში სიტყვა საქმედ აქცია. მესამე ბრიგადის წევრები, რომელშიც პარასკევა ახლაც ირიცხება, მას საკარმიდამო ნაკვეთს უხნავენ, ზამთრისათვის შეშას უმარაგებენ, ეხმარებიან საყოფაცხოვრებო საქმეების მოგვარებაში.

უცრემლოდ ვერ წაიკითხავ ჩვენი მკითხველის ზ. ზუბიტაშვილის წერილს:

„ისინი ოთხნი იყვნენ, — გვწერს იგი. — ოთხივე თელავის პირველ საშუალო სკოლაში დავაჟკაცდა. ოთხივემ აქ ისწავლა თავისი ქვეყნის სიყვარული. სამშობლოს ძახილზე ოთხი ვაჟკაცი რომ გაისტუმრა, პელაგია პაპუაშვილი ახალგაზრდა ქალი იყო. ...

[illegible]

... ჩვენი სოფლკორი, გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის პარტორგანიზაციის მდივანი ს. თოდუა გვიამბობს, თუ რო... ...რი და მიზანი აქვს. ეს კი ამ ადამიანებისათვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამგვარ კონტაქტებს არანაკლები და იქნებ უფრო დიდი სარგებლობა მოაქვს თვით ყმაწვილები... ...სასაბჭოს აღმასკომს გადაეუგზავნეთ. დედისა — სასწრაფოდ ზომების მისაღებად, დაღუპული შვილისა — დედისთვის დასაბრუნებლად.

აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. გოგინაშვილმა გვაცნობა, რომ ... დაღუპულთა ოჯახის წევრი ცხოვრობს. მათზე ზრუნავენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საშეფო დახმარებას უწევენ სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სკოლები. ... გვერდით არიან — ჯარისკაცის დედა, ჯარისკაცის მამა.

**ნანული ბარათაშვილი.**

* * *

სურათზე: შინმოუსვლელთა დედები. ს. კილაძის ფოტო.

---

# რაიხსტაგის მისადგომებთან

**გ**აზეთი „ზარია ვოსტოკა" 1946 წლის 1 მაისის ნომერში, ბერლინის დაცემის წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავდა: „მას შემდეგ, რაც სატანკო ნაწილები ბერლინში შეიჭრნენ, მესანგრეების წინაშე რთული და პასუხსაგები ამოცანები წამოიჭრა. მტერმა ქალაქი ციხე-სიმაგრედ გადააქცია, ააგო უძლიერესი გამაგრებანი და დანაღმული მავთულხლართები. ლეიტენანტ თევდორაძის მესანგრეებმა ბერლინის ქუჩებში გააუვნებელყვეს ათასობით ნაღმი, შენობათა ნანგრევებისაგან გაასუფთავეს ქუჩები, ისინი ამავე დროს მონაწილეობას იღებდნენ მტრის მიერ გამაგრებული პუნქტების იერიშში.

როდესაც ტანკებმა გადალახეს მდინარე შპრე და რაიხსტაგის შენობისაკენ იერიშით გაიჭრნენ, თევდორაძის ოცეულს დავალება მიუღია — გაეკაფათ მავთულხლართები და უზრუნველეყოთ ტანკების გასვლა. მთელი 30 წუთის განმავლობაში ოცეული მუშაობდა მოწინააღმდეგის არტილერიის და ტყვიამფრქვევების ძლიერ ცეცხლში. მეთაური დაიჭრა, მაგრამ მან განაგრძო მუშაობა. მეორე ჭრილობამ იგი მწყობრიდან გამოიყვანა"...

ხოლო უფრო დაწვრილებით, ალექსანდრე თევდორაძის ბედის შესახებ უკვე მის ძმას, ბესარიონ თევდორაძეს ატყობინებდა ალექსანდრეს თანამებრძოლი მაიორი შალვა დიდია.

„თქვენი ძმა გმირულად დაიღუპა 1945 წლის 29 აპრილს ბერლინის ცენტრალურ ნაწილში, რაიხსტაგის შენობიდან 300 მეტრზე... იგი დავასაფლავეთ ქალაქის გარეუბანში, ქალაქ კაროვში. ალექსანდრე დაჯილდოებული იყო სამამულო ომის II ხარისხის ორდენით და ახლა, სიკვდილის შემდეგ მას სამამულო ომის I ხარისხის ორდენი მიაკუთვნეს. ორივეს გიგზავნით".

მძიმე იყო ბესარიონისათვის ამ ამბის გაგება, ისინი შვიდი წლის განშორების შემდეგ, პირველად 1945 წლის იანვარში პოლონეთის ქალაქ ლუბლინში შეხვდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ ორივე ბელორუსიის პირველ ფრონტზე იბრძოდა. ძმები ახლა ხშირ-ხშირად სწერდნენ წერილებს ერთმანეთს და ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში თავის მშობლებს ვიქტორსა და ვერას აიმედებდნენ, მალე გამარჯვებულები დაგიბრუნდებითო.

მაგრამ ბედმა უმტყუნა ალექსანდრეს — 27 წლის ახალგაზრდა გერმანიის მიწას მიაბარეს. ომგადახდილი, მრავალგზის ორდენოსანი პოლკოვნიკი ბესარიონ თევდორაძე გამარჯვებული დაბრუნდა შინ.

გავიდა წლები. ბესარიონმა გადაწყვიტა მოეძებნა თავისი უმცროსი ძმის საფლავი. მალე მას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან აცნობეს, რომ ა. თევდორაძის ნეშტი კაროვიდან ქ. ბლიუმბერგში საბჭოთა არმიის მეომართა ძმათა სასაფლაოზე გადაუსვენებიათ.

ამ შემოდგომას ალექსანდრე თევდორაძის ძმა ნიკოლოზი, დები ნადიჟდა და ლუბა, აგრეთვე ძმისწულები და ბიძაშვილები გაემგზავრნენ გერმანიაში და საფლავს მშობლიური სოფლიდან წაღებული მიწა მოაბნიეს.



**ლ. ტატიშვილი.**

---

კომუნისტი

# გმირის ხსოვნისა

**ლეგენდარული** მე-18 სადესანტო არმიის სარდლის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის სამშობლოში — მახარაძეში დამთავრდა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საკავშირო ტურნირი კრივში. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულნი გამოვიდნენ: მ. ტაიმაზოვი, კ. კლიმანოვსკი (ორივე — ვოლგოგრადი), ა. ხიზანიშვილი, გ. ასოევი, ვ. გოგუაძე (სამივე — თბილისი), ა. იმანგულოვი, ა. ჟივოვი, ა. გუსევი (სამივე — ვოლგოგრადი), ვ. კუშნეროვი (ბლაგოვეშჩენსკი), ა. ბიჭიკაშვილი და დ. ქოქოევი (ორივე — ცხინვალი). შეჯიბრების საპატიო სტუმრები იყვნენ მე-18 არმიის ყოფილი მეომრები. გამარჯვებულთ ჯილდოები გადასცა გენერალ კონსტანტინე ლესელიძის შვილმა, პოლკოვნიკმა ოთარ ლესელიძემ.

# ჭადრაკის დაფებთან

## თასები მიიღეს

**მონრეალში** საზეიმო ვითარებაში დაიხურა დიდოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრება. „ჭადრაკის ვარსკვლავთა" ტურნირის თასები გადაეცათ საბჭოთა სპორტსმენებს — მსოფლიოს ჩემპიონს ანატოლი კარპოვს და მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მიხეილ ტალს. ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ მათ პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს. როგორც ტურნირის მთავარმა არბიტრმა, იუგოსლავმა დიდოსტატმა სვეტოზარ გლიგორიჩმა განაცხადა, საბჭოთა მოჭადრაკეებმა მონრეალში კიდევ ერთხელ დაგვიდასტურეს თავიანთი შესანიშნავი ოსტატობა. საუკეთესო პარტიისათვის პრიზი მიენიჭა მ. ტალს. მან ეს ჯილდო ბორის სპასკისთან ნათამაშევი პარტიის გამო დაიმსახურა.

## ოთხი ტურის შემდეგ

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 9 მაისისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი. გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ყაიმზე შეთანხმდნენ ჩიქოვანი და აზმაიფარაშვილი, აგრეთვე, პოდგაეცი და ლერნერი. გურგენიძე დამარცხდა ზაიჩიკთან, იზვოზჩიკოვი — რომანიშინთან. დანარჩენი პარტიები კვლავ გადაიდო. ოთხი ტურის შემდეგ ლიდერობს უბილავა. მას 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

# მეორე ლიგაში

**გაიმართა** მეორე ლიგის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის მეშვიდე ტურის მატჩები. ამ შეჯიბრების მონაწილე საქართველოს გუნდების შეხვედრების შედეგები ასეთია: „ყარაბახი" (სტეფანაკერტი)-„კოლხეთი" (ფოთი) — 2:0, „ავტომობილისტი" (ბაქო)-„გურია" (ლანჩხუთი)—9:2, „პროგრესი" (კიროვაბადი)-„ლოკომოტივი" (სამტრედია) — 2:2, „დინამო" (ზუგდიდი)-„რუბინი" (ყაზანი) — 1:0, „დინამო" (სოხუმი)-„ტურბინა" (ნაბერეჟნიე ჩელნი) — 2:0, „დინამო" (ბათუმი)-„ტორპედო" (ტოლიატი) — 1:1, „არაზი" (ნახიჩევანი)-„დილა" (გორი) — 3:1. შვიდი ტურის შემდეგ 10-10 ქულით ლიდერობენ ლანჩხუთის „გურია" და სტეფანაკერტის „ყარაბახი". 9-9 ქულა აქვთ სამტრედიის „ლოკომოტივს", ნახიჩევანის „არაზს" და იჟევსკის „ზენიტს".

# სატურნირო ორბიტაზე

**მძლეოსნობა.** ლოს-ანჯელესში გამართულ შეჯიბრებაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენმა რენალდო ნეჰემიამ. მან 110 მეტრზე თარჯრბენში ფენომენური შედეგი აჩვენა — 13.00 წამი!

**კრივი.** ევროპის ჩემპიონატში, რომელიც კელნში მიმდინარეობს, ყველაზე უკეთ ასპარეზობენ საბჭოთა სპორტსმენები. პირველობისათვის ბრძოლას მხოლოდ ერთი ათლეტი გამოაკლდა, დანარჩენები კი ჯერჯერობით წარმატებით იბრძვიან. ვიქტორ სავჩენკომ (71 კგ-მდე წონა) 33 წამში მოუგო შეხვედრა დანიელ ულფ ტერკილდსენს, ხოლო მძიმე წონის ევგენი გორსტკოვმა 44 წამში დაამარცხა ბულგარელი გიორგი სტოიმენოვი.

# ა. ი. მენაბდე



გარდაიცვალა პარტიის ვეტერანი, 1921 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი აკაკი იოსების ძე მენაბდე.

ა. მენაბდე დაიბადა 1902 წელს, მახარაძის რაიონში. იგი ჭაბუკი იყო, როცა რევოლუციურ არალეგალურ მუშაობაში ჩაება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე პარტიის რიგებში ახლად შესული 18 წლის ახალგაზრდა მუშაობას იწყებს პარტიის ოზურგეთის სამაზრო კომიტეტში. ამ დროიდან მოყოლებული ა. მენაბდე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე — იყო ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ამიერკავკასიის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მდივანი, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველი. სხვადასხვა დროს იგი იყო წნორისწყლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი, შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე, პარალელურად ა. მენაბდე ხელმძღვანელობდა საბჭოთა აღმშენებლობის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1956 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში ა. მენაბდე იყო ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი. მის კალამს მრავალი მეცნიერული ნაშრომი ეკუთვნის.

ა. მენაბდის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს იმათ გულში, ვინც კი მის გვერდით შრომობდა და მოღვაწეობდა.

**პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 1921 წლიდან სკკპ წევრი

**აკაკი იოსების ძე მენაბდე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 11 მაისს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

## თეატრი

### 9 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ლაურენსია** (26-ე აბონ. პირველი წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მე, ბებია, ილიკო და ილარიონი** (დღისით და საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ეზოში ავი ძაღლია**; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ჩარლის დეიდა** (დღისით), **მე, ცოლი და სიდედრი** (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **გამარჯვების ღიმილი**; მეტეხის თეატრი — **განკითხვის დღე**.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07124 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17